

უაკ 34:159.9.072.533

პროფესორ ბეჟან ხარაზიშვილის ზოგიერთი მოსაზრება სიცრუის ფსიქოლოგიის პრობლემებზე

გოგნიაშვილი ნინო

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა

ანოტაცია

ავტორი აღნიშნულ ნაშრომში ეხება სიცრუის ფსიქოლოგიის ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფ. ბეჟან ხარაზიშვილის 1975 წელს გამოცემული ნაშრომის „სიცრუის ფსიქოლოგიის“ საფუძველზეა წარმოდგენილი.

ნაშრომში აქცენტი გაკეთებული სიცრუის ფსიქოლოგიის არსზე, მის ეთიკურ შეფასებასა და ადამიანის ქცევის მოტივებზე სიცრუის დროს. გარდა ამისა განხილულია სიცრუესა და ნებისყოფას შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია სიცრუის სისხლის სამართლებრივ მნიშვნელობაზეც და გამოთქმულია ავტორისეული შეხედულებები, სიცრუის არსზე ზოგიერთი დანაშაული ჩადენისას, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 373-ე (ცრუ დასმენა), 185-ე (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით), 219-ე (მომხმარებლის მოტყუება) მუხლების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ბეჟან ხარაზიშვილი, სიცრუე, ფსიქოლოგია

სიცრუე, ანუ კაცობრიობის განვითარების თანმდევი სენი, ერთგვარი ეპიდემიაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში უამრავი უბედურების მიზეზიც გამხდარა ცხოვრებაში. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ამ პრობლემას ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ მიაქციეს ყურადღება და დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ.

სიცრუე არამარტო ზნეობრივი და მორალური თვალსაზრისით გასაკიცხი არამედ დასჯადი ქმედებაც იყო. სიცრუისათვის საკმაოდ მკაცრი სასჯელები იყო გათვალისწინებული ბაბილონში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და ასურეთშიც, ანუ იმ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სადაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ცივილიზაციას. მაგ: სანკხისტული სკოლის მიხედვით ბოროტება არის მხოლოდ ტანჯვა (ხორციელი თუ სულიერი) ე.ი. თუ სიცრუე ადამიანს აყენებს ტანჯვას, იგი ბოროტებაა. დემოკრიტე კი თვლიდა, „უმაღლესი სიკეთე სიბრძნეა, ბოროტება კი სიკეთის არ ცოდნა ანუ ცრუ გაგება.“

სიცრუე დაგმობილია ქართულ მწერლობაშიც, მაგ: გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ სიცრუე მოიხსენიება, როგორც სენი, ერთგვარი დაავადება და მორალურად გასაკიცხი მოვლენა, ყოველგვარი უბედურების სათავე. მაგ: „კაცი, ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად,“ ან „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა,“ ასევე „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა, უბადობისა, მერად გაწვირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა.“

სულხან-საბა ორბელიანს კი სიცრუის საშუალებით მთელი სიბრძნე აქვს გადმოცემული - „სიბრძნე სიცრუისაში“ სადაც იგავ-არაკების ფორმით არის გადმოცემული ის სიმართლე რაც მას ჰქონდა სათქმელი.

პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი იურიდიული თვალთახედვით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. პირველი ქართველი

მკვლევარი იურისტი, რომელმაც ამ პრობლემას საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა პროფესორი ბეჟან ხარაზიშვილია, რომელიც ცნობილია თავისი ფუნდამენტური ნაშრომებით სისხლის სამართლის პროცესში, კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართალში. 1975 წელს გამოცემული „სიცრუის ფსიქოლოგია“ კი არის გაგრძელება მისი ღრმა მეცნიერული მოღვაწეობისა, სადაც მან ყურადღება გაამახვილა ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე, სიცრუის ფსიქოლოგიის არსზე, მის ეთიკურ შეფასებასა და ადამიანის ქცევის მოტივებზე სიცრუის დროს. [1] ასევე ყურადღება გაამახვილა სიცრუის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზეც, რომელიც მდიდარი ლიტერატურული და საკანონმდებლო მასალის ფონზე წარმოაჩინა. მეორე ნაშრომი კი, რომელიც სიცრუის ფსიქოლოგიის პრობლემებს, უფრო მოგვიანებით მიემდგვნა ამერიკელი მეცნიერის პოლ ეკმანის ნაშრომია, რომელმაც 20 წელი მოანდომა ემოციის ფსიქოლოგიის კვლევას და მის ფონზე ადამიანის მიმიკისა და ქესტების შესწავლას.[2]

ბეჟან ხარაზიშვილი სიცრუის ცნების განხილვისას აცხადებს, რომ ლიტერატურაში სიცრუე საერთოდ სხადასხვაგვარად არის გაგებული სადაც მას უწოდებენ ყოველგვარ აზრს ან იმ შეხედულებას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება - აღნიშნული კი ფსიქოლოგიურად მიუღებელია და არ გამოხატავს სიცრუის შინაგან ბუნებას და ამასთან დაკავშირებით მართებულად სვამს კითხვას: განა ყოველგვარი აზრი, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს შეიძლება სიცრუე იყოს? მისი მოსაზრებით სიცრუე სანამ ნებელობის კუთვნილება არ შეიქმნება არ არის სიცრუე. [1-29გვ] მართლაც და, სიცრუე ხომ განზრახი მოქმედებაა, ადამიანი ყოველთვის გამიზნულად იტყუება, მას შეიძლება ჰქონდეს გამართლება მხოლოდ თავის თვალში, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოების აზრშიც. იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გაუცნობიერებლად წარმოშობილი ისევე, როგორც არ შეიძლება ვილაპარაკოთ ნების ანუ განზრახვის არ არსებობაზე, როდესაც ადამიანი ემზადება დანაშაულის ჩასადენად, იძენს იარაღს და კლავს მეორე ადამიანს, ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა განზრახვის არარსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ე.ი. ადამიანს სურს და განზრახული აქვს გარკვეული ქმედების ჩადენა და მოჰყავს იგი სისრულეში.

ასევეა სიცრუის შემთხვევაშიც, ადამიანს სურს გარკვეული მოვლენის ან ფაქტის დამახინჯება და ამზობს ტყუილს, ანუ ეს არის ნებითი ქცევა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადაწყვეტილების მომზადებას, მიღებას და რეალიზაციას, რის გარეშეც თავისთავად არც შეიძლება არსებობდეს ნებითი ხასიათის ქცევა.

ბეჟან ხარაზიშვილი აზროვნების პროცესს სიცრუესთან დაკავშირებით სამ ეტაპად ყოფს. კერძოდ:

1. სინამდვილისა და მისი დამახინჯების პირველად შემეცნება ანუ აღქმა და წარმოდგენა. [1-39გვ.] აღქმა ანუ შეგრძნებათა საფუძველზე წარმოშობილი საგნის აღქმა, რომელიც ობიექტური სინამდვილის თვალსაჩინო ასახვის უფრო რთულ და მაღალგანვითარებულ ფორმას წარმოადგენს. ყოველდღიური ცხოვრების ნორმალური პირობებში შეგრძნებები აღქმის გარეშე არ განიცდებიან: ადამიანი გარემოს განიცდის აღქმის და არა შეგრძნებების სახით, ადამიანი, როდესაც აღიქვამს რაღაც მოვლენას მას უჩნდება ე.წ. წარმოდგენა რაღაც მოვლენის შესახებ, რომელიც ყოველთვის ობიექტური არც შეიძლება იყოს რადგან მასზე გარკვეული ფაქტორები მოქმედებს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ფაქტის არასწორად აღქმა რაც ხდება საფუძველი ფაქტზე არასწორი წარმოდგენის შექმნისა. ადამიანს შეიძლება გარკვეული ილუზიაც გაუჩნდეს, მაგ: შებინდებისას ტყეში ჯირკვი ან ბუჩქი დაინახოს და აღიქვას მგლად, ვინაიდან შიშის გამო მტკიცედ იყო განწყობილი მგლის დანახვაზე, რასაც თავისთავად ხელს უწყობს განწყობა - ანუ ადამიანი რა

განწყობაზე არის შეუძლია გამწყობის მიხედვით სხვადასხვაგვარად აღიქვას ერთი და იგივე მოვლენა [3-88გვ.]

აღსანიშნავია, რომ დამნაშავენიც უმეტეს შემთხვევაში სწორედ სასჯელის შიშით არ ცნობენ თავს დამნაშავედ და იგონებენ სხვადასხვა ვერსიებს თავის გასამართლებლად, ან პირიქით უდანაშაულო ადამიანი თავს დამნაშავედ აღიარებს, რაც ისევ და ისევ შიშით არის განპირობებული. რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფაქტორებით იყოს განპირობებული, ზეწოლით, დაშინებით, ოჯახის წევრებისა და მისი განადგურების შიშით, სიცრუეს ასევე ხელს უწყობს ანგარება, კარიერიზმი და სხვა.

აღქმა და წარმოდგენა ადამიანის გონებაში ობიექტური სინამდვილის საგნის ასახვის ფორმაა, ერთი და იგივე საგანი შეიძლება აღქმულიც იყოს და წარმოდგენილიც. მაგ: ცნობილია დ. იუმის ფორმულა „წარმოდგენები შთაბეჭდილებათა ასლები არიან.“

2. აღქმისა და წარმოდგენის შემდეგ კი, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს არსებულ მოვლენას იგი ახდენს მის თავისებურ ინტერპრეტირებას, არცთუ იშვიათად კი ცრუობს, ე.ი. აზროვნების ამ ეტაპზე იწყება ადამიანის ფსიქიკაში კონფლიქტების პერიოდი ანუ ამას აკეთებს გამიზნულად და ატყუებს სხვას.

3. მესამე ეტაპს იგი მიაკუთვნებს ამოცანის გადაჭრას.

ზოგიერთი ავტორის აზრით სიცრუე შეიძლება გამომდინარეობდეს სიფრთხილისგანაც, რომელიც შიშთან არ არის დაკავშირებული და გათანაბრებული. ასეთ შეხედულებას ბეჟან ხარაზიშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება და თვლის, რომ სიფრთხილე ფსიქოლოგიურად შიშითაც განიცდება, რადგან მისი აზრით წარმოუდგენელია იყო ფრთხილი და შენთვის უცხო იყოს შიში. ეს სიფრთხილე შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა გარემოებით -კერძოდ, თანამდებობის დაკარგვის შიშით, პასუხიმგებლობის შიშით და ამ შემთხვევაში არ აქვს ადგილი ადამიანთა კატეგორიებად დაყოფას -ეს პიროვნება დამნაშავეა თუ კეთილსინდისიერი ადამიანი, კარგი თუ ცუდი, სასიამოვნო თუ არასასიამოვნო. ყველას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული რაღაცის, ან ვიღაცის შიში, რასაც შეიძლება სიფრთხილის სახით გამოხატავდეს.

მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხშირად მატყუარას ვუწოდებთ, არაგულახდილ პიროვნებას, თუ ის ადამიანი ჩვენთვის არასასურველია, მაგრამ ძნელია გამოვიყენოთ ეს ტერმინი იმ ადამიანთან მიმართებაში, რომელიც თავისი მატყუარობისდა მიუხედავად ძალიან მოგვწონს ან ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს.

მაგრამ განა შეიძლება მატყუარა ვუწოდოთ ისეთ ადამიანს რომელიც პარანოიდული მანიით არის შეპყრობილი და ამტკიცებს, რომ ის არის დავით აღმაშენებელი, ან მარიამ მაგდალილენი, აქ სიცრუეზე საუბარი რა თქმა უნდა ზედმეტია.

თუმცა, მაგ: პოლ ეკმანი გამოყოფს ასევე პათოლოგიურ მატყუარებს, რომალთაც იციან, რომ იტყუებიან, მაგრამ არ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ თავიანთ ქცევას, ასევე შეიძლება იყვნენ ისეთი ადამიანებიც რომელთაც არც კი იციან რომ იტყუებიან და თვითმოტყუების მსხვერპლნი ხდებიან.

ბეჟან ხარაზიშვილი ასევე უკავშირებს ერთმანეთს სიცრუესა და ნებისყოფას. ნებისყოფაც ისევე როგორც შიში და სიფრთხილე, არ არის დამოკიდებული ადამიანთა კატეგორიაზე. მაგ: ხარაზიშვილი აღნიშნავს, რომ ნებისყოფა შეიძლება ჰქონდეს გაქნილ ავაზაკს, ხოლო კეთილსინდისიერი ადამიანი სრულ უნებისყოფობას ამჟღავნებდეს.

ნებისყოფა ადამიანის ერთ-ერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს და სწორედ ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან, რომელიც მხოლოდ უნებლიე - იმპულსური მოქმედებების შემსრულებელია. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი მოტივი და მიზეზი. ადამიანის ნებისყოფაც მოზეზობრიობისაგან თავისუფალი არ არის, გადაწყვეტილების გამოტანისას სუბიექტი რაღაც მოტივით ხელმძღვანელობს. ნებისმიერი მოქმედება ხომ მოტივით განსაზღვრული მოქმედებაა, რადგანაც გადაწყვეტილებას მოტივი განსაზღვრავს. მოტივს კი თავისთავად რომლითაც ადამიანი ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების გამოტანისას გარკვეული მიზეზები გააჩნია. ბეჟან ხარაზიშვილი ახდენდა ასევე ამ მოტივების კლასიფიკაციასაც - ყოფდა ორ დიდ ჯგუფად: 1) საზოგადოებრივ და 2) პირადულ (ანუ ინდივიდუალურ) მოტივებად, რომელშიც აერთიანებდა სამსახურებრივ, ეროვნულ, პოლიტიკურ, მეგობრულ და სხვა სახის ინტერესებს. [1-70გვ.] თავის მხრივ მათ ასევე მორალურ და ამორალურ მოტივებად ყოფდა ქცევის თვალსაზრისით. საზოგადოებრივთან კი ორგანულად აკავშირებდა პირადულ ინტერესებს, მაგრამ მათ მხოლოდ პირადულის გარეგნულ გამოხატულებად ახასიათებდა. მაგ: თვითმკვლელობა ბეჟან ხარაზიშვილს ნებისყოფის ერთ-ერთ მაგალითად აქვს მოყვანილი, რომლის მოტივიც შეიძლება საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო თავგანწირვის მოთხოვნილება იყოს, რის გამოც ადამიანი იკლავს თავს, მაგრამ მას რომ არ ჰქონდეს ნებისყოფა, რა თქმა უნდა იგი ვერ განახორციელებდა თვითმკვლელობას. ამის საფუძველზე კი ასკვნის ხარაზიშვილი „ნებისყოფა ეს არის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შედეგად აღმოცენებული ფიქსირებული განწყობისეული თვისება, რომელიც მჟღავნდება ადამიანის გარესამყაროსთან ურთიერთობისას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად და შესაძლებელი მოქმედებისათვის თვითდამორჩილების უნარში ნებადართულის განცდის სახით წარმოჩინდება. [1-73გვ.]

ყოველთვის არის შესაძლებელი სიცრუე თუ არა? ნუთუ არ არსებობს რაიმე საშუალება - რომ გამოვიცნოთ იგი? რა თქმა უნდა შეიძლება. სიცრუე, ხომ ადამიანის ემოციის ფონზე ვითარდება, რის გამოც იგი ძნელად იმალება, თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტყუილს როდი ახლავს ემოცია, მაგრამ, როგორც წესი, ემოციის დამალვა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ადამიანისათვის.

ადამიანი განიცდის ემოციას არა საკუთარი სურვილით, პირიქით, ემოცია იპყრობს ადამიანებს და მათი სურვილის მიუხედავად წარმოიშობა შიში, ადამიანები არა მარტო არ ირჩევენ თავიანთ ემოციებს არამედ ასევე არც შეუძლიათ ებრძოლონ თავიანთ შინაგან გამოვლინებებსაც.

ემოცია ეს არის ადამიანის გრძნობა, განცდა, რომელიც ერთროულად ვლინდება შინაგან გრძნობებში, ქცევაში, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ინფორმაციასთანაც, რომელსაც ჩვენ ვიღებთ გარემომცველი სამყაროსაგან. ემოციის გაკონტროლება კი ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია, ალბათ ერთეულებს თუ შესწევთ უნარი აკონტროლონ საკუთარი ემოცია. თუ ემოცია არ წარმოიშობა უცბათ და არ გამოიხატება განსაკუთრებულად ძლიერად ეს შეიძლება გახდეს სხვისთვის შესამჩნევი, მაგრამ ძლიერი ემოციები უფრო ძნელი გასაკონტროლებელია მაგ: ჩხრეკის დროს, როდესაც გადამალული ობიექტის ძებნა ხდება, გამომძიებელი უნდა ჩაწვდეს ნივთის დამმალავი პირის ფსიქოლოგიას, რომელიც ძირითადად იმ მოტივით ხელმძღვანელობს, რომ ძიებისათვის მიუწვდომელი გახადოს საქმესთან დაკავშირებული რომელიმე საგანი, რომელიც შეიძლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენდეს. ეს ადვილი ამოსაცნობი იქნება თუ ჩხრეკის ობიექტის მფლობელ პირებზე ფსიქოლოგიური დაკვირვების მეთოდს გამოვიყენებთ. კერძოდ:

ბინის ჩხრეკის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ჩხრეკის პროცესში ამა თუ იმ საგნის აღმოჩენა, როგორ ზემოქმედებას ახდენს ბინის მფლობელის ან ჩხრეკის შედეგით დაინტერესებული პირის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ვინაიდან ასეთ დროს ისინი თავისდაუნებურად ამხელენ დასაძებნი საგნის ადგილსამყოფელს [3-88გვ], ეს შეიძლება გამოიხატოს ინფორმაციის, მიმიკის ან სხეულის სპეციფიკური მოძრაობით. ძნელია ემოციის დამალვა, მაგრამ უფრო ძნელია მისი ფალსიფიცირება-ანუ სინამდვილის დაფარვა ცრუ ემოციით. [2-197გვ] მაგ: ადამიანს წარბები შეიძლება შიშისაგან ზემოთ აეწიოს, ან არ გასცეს პირდაპირი პასუხი ან გვერდი აუაროს მას. სიტყვებს შორის პაუზა კი უფრო მეტად გაიზარდოს უფრო გრძელი და ხშირი გახდეს. სიცრუის ნიშანი შეიძლება იყოს მეტყველების შეცდომებიც, ან სხეულის მოძრაობით გამოვლენილი ინფორმაციაც დამალული გრძნობების შესახებ. თუმცა უნდა გვახსოვდეს იმ გარემოების შესახებაც, რომ მიღებული ინფორმაციის ანალიზისას, არსებობს ორი საშიშროება: 1) სიმართლის დაუჯერებლობა და 2) ტყუილის ნამდვილად მიჩნევა, მაგრამ ტყუილის ნიშნების არ არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიმართლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ტყუილის ბევრი ნიშანი აიგება არა ერთ არამედ რამოდენიმე ემოციაზე და, შესაბამისად, უფრო რთული ამოსაცნობი ხდება სიცრუე. მაგრამ ნებისმიერი კონკრეტული ტყუილის წარმატება გაცილებით მეტად დამოკიდებულია ტყუილის ხასიათზე, ვიდრე პიროვნების შესაძლებლობაზე, ზოგიერთი ადამიანი იტყუება ისე ოსტატურად ან ისე ცუდად, რომ კონკრეტული ტყუილის გადმოცემის ხერხს და სპეციფიკას არ გააჩნია მნიშვნელობა.

როგორც აღინიშნა ბეჟან ხარაზიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ასევე სიცრუის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზეც და გამოთქვამდა თავის შეხედულებას სიცრუის არსზე, ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისას. სიცრუე როგორც არაერთი დანაშაულის ჩადენის ხერხი, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით არის გათვალისწინებული დღესაც, ესენია: 180-ე (თაღლითობა), 185-ე (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ანუ ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით), 219-ე(მომხმარებლის მოტყუება), 350-ე(საქ.პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა), 370-ე(ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი), 373-ე (ცრუ დასმენა) და სხვა მუხლები.

რაც შეეხება 180-ე მუხლს ანუ თაღლითობას მას კანონმდებელი განმარტავს როგორც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი ზიანის მიღებას მოტყუებით. [5] აღნიშნულმა დანაშაულმა ფართო გავრცელება ჰპოვა, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის სფეროში, რა დროსაც ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღება ხდება მოტყუებით ანუ როგორც ბეჟან ხარაზიშვილი აღნიშნავს იგი ხერხია, „ფიზიკური“ მოქმედებაა ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელებისა. მართალია ფსიქოლოგიურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თაღლითობით მიაღწევს პირი იმავე მიზანს, ქურდობით თუ სხვა ხერხით, ანუ ქონების დაუფლება თუ მიღება ყოველთვის ერთი მოტივით არ ხდება, შესაძლებელია პირს ამომრავებდეს მოთხოვნილება ქონება დაისაკუთროს პირადი მოხმარებისათვის, შესაძლოა იგი სხვა პირის დახმარების მოთხოვნილებით მოქმედებდეს, არ არის გამორიცხული სხვა მოტივებიც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, იმ გარემოების შესახებ, რომ აღნიშნული დანაშაულის მოტივი რაც არ უნდა იყოს მისი ჩადენის ხერხი მხოლოდ სიცრუეა, რომლის საშუალებითაც ხდება დანაშაულის ჩადენა.

სასამართლო პრაქტიკიდან მოტყუების მრავალი ფორმაა ცნობილი. ზოგჯერ დამნაშავენი დაზარალებულის ბინაში ცხადდებიან, როგორც გამომძიებლები,

თითქოსდა ჩხრეკის ჩასატარებლად და ამ გზით ძვირფას ნივთებს ეუფლებიან. ე.ი. მოტყუება ეს არის თაღლითობის ჩადენის ხერხი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის შემადგენელი ნაწილია, რა დროსაც გარეგნულად ნებაყოფლობით ხდება დამნაშავისათვის ქონების გადაცემა. მესაკუთრის მიერ რომელიც შეცდომაშია შეყვანილი და არა აქვს მნიშვნელობა რა ხერხით არის შეყვანილი შეცდომაში: წერილობითი თუ ზეპირი ფორმით.

კიდევ ერთი მუხლი რომელიც თავისი შინაარსით გავს თაღლითობას, ეს არის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით ანუ ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, აქ ორივე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ერთი და იგივე ხერხია - მოტყუება, მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავება მაინც არსებობს. თაღლითობის დროს თუ მოტყუება გამოყენებულია როგორც მესაკუთრის მფლობელობაში არსებული ქონების დაუფლების საშუალება. ქონებრივი ზიანის გამოწვევის დროს კი გამორიცხავს მესაკუთრისათვის სათანადო ქონების მიღებას.

რაც შეეხება ცრუ დასმენას (373-ე მუხ), ანუ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენას, აქაც აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ხერხი ისევე და ისევე სიცრუეა, ანუ ცრუ ინფორმაციის მიწოდება ვითომდა დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც იძლევა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს. ცრუ დასმენა ყველა შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ განზრახ განხორციელდეს, დღევანდელ კანონმდებლობაში აღარ არსებობს ტერმინის „შეგნებულად ცრუ დასმენა“, რასაც თავის დროზე არ ეთანხმებოდა თვით ბეჟან ხარაზიშვილიც, რომელსაც მიაჩნდა, რომ სიცრუე თავისთავად უკვე შეგნებულ მოქმედებას გულისხმობდა და ამიტომ აღარ იყო საჭირო ტერმინის „შეგნებულად“ გამოყენება ცრუ დასმენაზე საუბრისას. ასეთივე აზრის იყო „შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემაზეც“, ვინაიდან აქაც ცრუ დასმენის მსგავსად ცრუ ჩვენების მიცემაზე შეუგნებლად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ცრუ ჩვენების მიცემა მოწმის ან დაზარალებულის მხრივ განხორციელდება, როგორც უშუალოდ დაკითხვისას, ისე დაპირისპირების თუ ამოცნობის პროცესში, რომელსაც კრიმინალისტიკები ასევე ყოფენ „კეთილსინდისიერ“ და „არაკეთილსინდისიერ“ სიცრუედ, რომლის სისწორეშიც თვითონ ჩვენების მიმცემ მოწმესაც არ ეპარება ეჭვი და გულწრფელად სჯერა, რომ იგი სწორ ჩვენებას იძლევა, რომელიც შეიძლება იყოს შედეგი იმ ფსიქოლოგიური განწყობისა, როგორ განწყობაზეც იგი იმყოფებოდა უშუალოდ აღნიშნული დანაშაულის მომენტში - რომელიც თავისთავად განსხვავდება იმ დანაშაულისაგან, რომელზედაც აღნიშნულ მუხლში არის მითითებული, სადაც ლაპარაკია შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემაზე, რომელიც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რა დროსაც უნდა მოხდეს ცრუ ჩვენების მიცემის მოტივის დადგენა და მისი დეტალური დაკითხვა ჯერ საქმეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ და შემდეგ გადავიდეს გამოსამიებელი შემთხვევის მთავარი ფაქტის ირგვლივ დეტალურ დაკითხვაზე რა დროსაც არსებითი აქცენტი უნდა გაკეთდეს დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განცდებზეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე კი უნდა აღინიშნოს, რომ ბეჟან ხარაზიშვილის „სიცრუის ფსიქოლოგია“ ერთერთ ფუნდამენტურ და ამავე დროს ერთერთ პირველ ნაშრომს წარმოადგენს სიცრუის ფსიქოლოგიაში სადაც იგი არსებით, ძირეულ პრობლემებზე დაყრდნობით გადმოგვცემს სიცრუის არს და მის მნიშვნელობას ზოგიერთი ძირეული საკითხის გადწყვეტისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ.ხარაზიშვილი „სიცრუს ფსიქოლოგია“ 1975წ.
2. Пол Экман – “Психология Лжи” – 2001г
3. თ.გოგიჩაიშვილი „იურიდული ფსიქოლოგია“ თბილისი 1997წ.
4. შ.ფაფიაშვილი „კრიმინალისტიკა“ „დანაშაულის გახსნის ტექტიკა“ - 2001წ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2003წ.

სტატია მიღებულია: 2004-03-19